16 მარტი. 1908 ფასი 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 32 „ნიშადურის“ შემდეგი ნომრები გამოვა № 32

კვირაში ორჯერ

— **ხუთშაბათობით** და
— **კვირაობით.**

წლიური ფასი 5 მან. ნახევარის წლით 3 მან.

საღდგომოთ წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება **ნობათად**

ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი

და **„ნიშადურის კრებული“** (1 და 2 წიგნი).

რას მიყურებთ? — კიზელის ნახატი.

აბა თუ მიცნობთ! — მაქს-ერლერის ნახატი.

სოციალ-დემოკრატია სოფლად

(შემდეგი)

IX

დავუბრუნდეთ ისევ სისხლის ღვრასა და ინკვიზიციას.

სოფელ მ—სში ერთი ადგილობრივი მცხოვრები გლეხი, რომელსაც საღდაც და როგორღაც წერა-კითხვა შეესწავლა, სოფლებში პროპაგანდისტობდა და, როდესაც რეაქცია მეტად გაძლიერდა, სადღაც გადიკარგა და ცოლი და რამდენიმე შვილი ულუკმა-პუროთ დასტოვა. ცოლშვილი შეეკედლა პროპაგანდისტების ძმას და ერთი წლის განმავლობაში ეს უკანასკნელი, თავადაც წვრილშვილი და ღარიბი გლეხი, ჰკვებავდა, აცმევდა და ახურავდა უპატრონოთ დარჩენილის მთელს ოჯახს. ბოლოს გლეხმა ვეღარ შესძლო ორი ოჯახის შენახვა და თავის რძალს გამოუცხადა: მე აღარ შემიძლიან თქვენი შენახვა, შენი ქმარი სოფლისთვის აკეთებდა საქმეს, წადი ახლა და სოფელმა შეგინახოსო. რძალი წამოვიდა და რაზმელებთან უჩივლა. გლეხი მეტივობდა, ვალით და ვახჩით იყიდიდა ერთ წვრილ ტივს, ჩამოიტანდა ტფილისში, გაყიდდა და ერთ-ორ მანათს სარგებლობდა. ერთ დღეს ხეობაში ეყიდნა ტივი და წყლით ტფილისკენ მიჰქონდა. რამდენიმე რაზმელი ჩაუსაფრდა იმას სოფლის ბოლოს მტკვრის პირას და გვერდზე რომ ჩამოუარა რაზმელებს, ესროლეს რამდენჯერმე თოფი და მკვდარი გლეხი წყალში გადავარდა.

სოფელ მ—კში იქაურ პროპაგანდისტს ერთ დღეს მოუტანეს ამბავი: ესა და ეს გლეხი ჯაშუშია და თუ მაგას რამე არ უყავით, ყველას გაგვცემსო. პროპაგანდისტმა მაშინვე გაგზავნა რაზმელები იმ გლეხის დასაჭერად და ჩამოსაყვანად, თვითონ კი მოუყარა თავი სოფელს და გამოუცხადა: ჯაშუში დავიჭირე და უნდა გავასამართლოთო. პატარა ხანს უკან მოიყვანეს „ჯაშუშიც“. დაიწყო გასამართლება. პროპაგანდისტმა ნახევარ საათში გამოიძია, გაარჩია საქმე, დამნაშავედ იცნო ბრალდებული, სიკვდილი მიუსაჯა და განაჩენიც სისრულეში მოიყვანა- გაათხრევინა იქვე ორმო, დამნაშავე ორმოს წინ დააყენა და რამდენიმე რაზმელს უბრძანა: გადექით განზე და თოფი ესროლეთო. თოფები ესროლეს, გლეხი ორმოში გადავარდა.

— მიაყარეთ მიწა! — დაიძახა ახალ ჯურის „მოსამართლემ“. შეუდგნენ მიწის მიყრას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გლეხი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მძიმედ დაჭრილიყო, ზეზე წამოდგომა ვეღარ შესძლო, მაგრამ საცოდავი ხმით გაიძახოდა: მომკალით ბარემ! ერთი ტყვია კიდევ მესროლეთ, ტანჯვა ამაცდინეთო!

— მიაყარეთ მიწა!! — ყვიროდა პროპაგანდისტი. მიწა მიაყარეს. ეს მკვდარი რეაქციის დროს პოლიციამ ამოათხრევინა და ხელმეორედ დასამარხავად ნათესავებს გადასცა.

სოფელ ყ—სში ერთ საკმაოდ შეძლებული ოჯახი იყო- ორნი ძმანი იყვნენ, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და ოჯახში კარგა ბლომად იყვნენ. ერთ შემოდგომის დღეს ძმებს დაექირავებინათ რამდენიმე სოფელელი ქალი და კალოზე სიმინდს არჩევდნენ. ძმებიც კალოზე იყვნენ და ხელს უწყობდნენ მუშაობას. ამ დროს გაჩნდნენ ცხენებით რამდენიმე რაზმელი. ხმა არავისთვის არ გაუციათ, მიცვივდნენ კალოზე და ქალების თვალწინ ორივე ძმები თოფებით დახვრიტეს. შემდეგ სოფელს გამოუცხადეს: არავინ არ მიეკაროს. მაგათი დამარხვა არავინ არ გაბედოს და წავიდნენ. შემდეგში, როდესაც სოფელი დაეკითხა რაზმელებს, გვითხარით მაინც რად დახოცეთ ეს ორი ძმაო. რაზმელებმა უპასუხეს: შარშან თქვენ სოფელში რომ ეკზეკუცია იდგა, მაგათი საქმე იყოო (?!!).

(შემდეგი იქნება)

ხეობელი.

გლეხის ჩივილი

—

ოხ, რა სასტიკად გვეპყრობა
ეს დაწყევლილი ზამთარი!
დღე გაგვიმწარა წყეულმა!
სულაც რომ მოგვსპოს მზად არი.
ქარ——სუსხით, ყინვით ტიალმა
ააწიოკა ქვეყანა!
აკვნებში ბავშვებს გვიხოცავს!
ნეტავ რა უნდა ჩვენგანა?
ყოველ მხრივ გზები დაგვიხშო,
ნამქერი უხვად აყარა;
ჩამოგვიმტვრიია სახლები,
მაგრამ არც ესა გვაკმარა.
მიდგა ჩვენს საცხოვრებელს და
გაგვინადგურა ყოველი:
საზრდო, საკვები გაგვიწყო
ამოგვიწყვიტა ცხოველი.
გვტანჯავ წყეულო ზამთარო,
მაგრამ შენც დღე გიმოკლდება!
ღამე კლებულობს, დღე მატობს,
მზე თან და თარ ბრწყინვალდება!
რომ შენ მზის სხივს ვერ გაუძლებ
ეს ხომ ყველასთვის ცხადია!
ჩვენც ეს გვამხნევებს და ტანჯვა
ვერ გვძალავს განაცადია.
ვიცით მალე დაგვიდგება
სანატრელი გაზაფხული!
შენც გრძნობ, შენი განკითხვის დღე
არის მოახლოვებული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შენგან აოხრებული
კვლავ აყვავდება ქვეყანა
და ერთს ათ-ასად მოგიზღავს
რაც ტანჯვა ადგა შენგანა!..

ი. აბაშიძე

ვარდი

(ვუძღვნი X-ს)

Я шелъ къ тѣбѣ измученъ труднымъ днемъ
Съ усталостью на сердцѣ и во взорѣ,
Чтобъ отдохнуть передъ твоимъ огнемъ
И позабыться въ тихомъ разговорѣ.
С. Я. Надсонъ.

—

მაისის დილა უნდა გათენებულიყო.

განთიადისას ბაღში გაველ და დავსეირნობდი.

ჩემი საყვარელი ყვავილები და ვარდები სთვლემავდნენ, მაგრამ როცა მათ ცის ნამი მოხვდათ, თავი მაღლა ასწიეს და ზეცას გაულიმეს.

ღამის ბინდ-ბუნდი ილეოდა... აღმოსავლეთი განათლდა და მზის ცხოველმა სხივებმა ყური ამოჰყვეს.

ბუნება ახმაურდა. ფრინველებმა გალობა მოართეს.

მე ყვავილებს თავს დავტრიალებდი და თვალს არ ვაშორებდი.

— ჩემო საყვარელო ვარდებო, რატომ არა ჰგრძნობთ თუ რა რიგ მიყვარხართ!.. ბულბული მოგატყუებთ და მე კი მარად თქვენი ერთგული დავრჩები.

ყვავილები სდუმდნენ. ნიავი ნელად ჰბერავდა... მე ვგრძნობდი მათ აღტაცებას და სიხარულს.

ერთი ვარდი უფრო განმარტოვებით იდგა და თავი ამაყად ეჭირა.

მის ახლოს, ჩირგვზედ ბულბული იჯდა და ხმას ტკბილად აკვნესებდა.

ნეტა რას ეუბნებოდა ბულბული?.. რად ეტრფოდა ესე აღტაცებული?!

იქმნება უყვარს!..

ის სხვა ვარდებისგან ყველაფრით განსხვავდებოდა და მისი ფერი და სურნელი უფრო მომხიბლველი და გულწარმტაცი იყო.

მივუახლოვდი და მსურდა გულში ჩამეკრა.

ხელი წავატანე, მაგრამ ვარდი შეირხა და მასმა ეკლებმა ჩემი ათრთოლებული ხელი უკან დააბრუნეს.

ის გამირისხდა... დავღონდი, დავნაღვლიანდი.

მე მიყვარს და ის კი ახლო არ მიკარებს!

ერთ დროს ხომ იგი დასჭკნება და დაჰკარგავს მომხიბლველ სურნელებას, თვითონაც მტვრად იქცევა, მაშ რატომ არა ჰსურს რომ მისმა ერთგულმა წრფელი გრძნობა და სიყვარული წინ გადუშალოს და დასტკბეს ძისი ცქერა...?!

ხვალ დილით სხვის უწყალო ხელი მოსწყვეტავს და მე ხომ მასზედ ძლიერ მიყვარს და მაშასადამე მეტი უფლებაც მაქვს .. რომ...

— სურნელოვანო, არ გაგშორდები... მიყვარხარ!..

ვარდი სდუმდა და მოხდენილად ირხეოდა.

მუხლი მოვიყარე და თვალ ცრემლიანმა შევძახე:

— მაინც მიყვარხარ!..

ვარდი კვლავ შეირხა და ცის ნამს დაეწაფა.

მას ის ჰყვარებია!.. ცის ნამი!..

მე კი მოვსტყუვდი, მეგონა ბულბული უყვარდა.

ცის ნამი უყვარს! მეც მიყვარს იგი!

ახ, რად არ ძალ-მიძს ცის ნამად ვიქცე!

მეც ხომ შემიყვარებდა და განთიადისას ჩემს საყვარელ ვარდს დეევეპკურებოდი.

ა. შ—ლი.

გამოცანები

—

სიტყვით, ფრაზით გმირები ხართ
და საქმით კი არაფერი,
მამა-პაპათა დამგმობი,
დედა-სამშობლოსა მტერი.
აღარ მოგწონთ ქართველობა,
გინდათ გახდეთ რაღაც ერი,
მაგრამ, როგორც ბაბილონელთ,
აგერიათ მონასტერი.

—:—

დიდებავ საქართველოსი
ქართველ ერისა სინათლე,
ვითა სიწმინდე ნათლისა
შენ მოგვავლინე სიმართლე.
რომ მომავალში სამშობლოს
ყავდეს მრავალი შვილები,
როგორც ილია, დიმიტრი,
თავდადებული გმირები.

—:—

როგორც ერთგული სამშობლოს
და გული ქართველ ერისა,
შენ გაუმკლავდი ორგულთა,
მეხი დაეცი ძლევისა.
ნულარ დაინდობ, გულში ჰკარ
შენი მახვილი ისარი
და ჩაუმტვრიე ერთბაშად
უმეცართ გულის ფიცარი.

—:—

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფლის სურათი.



ქმარი. ეგ რას ნიშნავს?.. გახდილი რათა ხარ?!
ცოლი. მაშ რა მექნა... აკი შენ თვითონ დამავალე, როცა „კომიტეტისგან“ ფულის სათხოვნელად მოვლენ, დამიხსენ-დამიფარეო...
ქმარი. !!!

სიტყვით არის და საქმით კი
პატარა უსუსურია,
არას ინაღვლის ოღონდაც
მოგტაცოს ლუკმა პურია.
მაგისთვის გელაქუცება,
როგორც პატარა მურია,
თურემ ზურგისა უკანა
მტერი და მარტო შურია.

—:—

ახალგაზდა, პატარა ხარ,
წლოვანობით მეტათ ნორჩი.
მაგრამ ნიჭით შენზე დიდებს
წინ გაუსწარ, არ ჩამორჩი.

—:—

ირბინე სანამ შეგეძლოს
ჩვენი ცხოვრების გზაზედა,
ნუ შეგაშინებს კლდე-ველი
ნურცა უგზობა მაზედა;
გაკაფე სადაც დაგიხვდეს
უსწორ-მასწორო სავალი,
რომ მით ნაყოფი სამშობლოს
გამოუტანო მრავალი,

კ. მარტვილელი.

სადმურზედ

(იაპონურიდან)

—

გუშინ ფუკუოკიდგან შეგვატყობინეს ტელეგრაფით, რომ იქ დაუჭერიათ დიდი დამნაშავე და დღეს თორმეტ საათზე მატარებლით ისტუმრებენ კუმამატოში, სადაც უნდა დასაჯონო. მაშინვე გაგზავნილ იქმნენ პოლიციელები, რომლებსაც თვალყური უნდა ედევნებინათ დამნაშავისათვის.

ამ ოთხი წლის წინათ ვიღაც გამბედავი ქურდი შესულიყო ერთ სახლში, ბორცოვის ქუჩაზე, ხელები შეეკრა ყველასათვის, ვისაც კი მისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ეშმაკი“ და „ნიშადური“.

კლეოპატრა — ეხტლერის ნახატი.

წინააღმდეგობა გაეწია, მოეპარა მრავალი ძვირფასი ნივთეულობა და გაქცეულიყო. ქურდმა ვერ მოასწრო მოპარულის დამალვა. პოლიციის მოხერხებულმა ჯაშუშებმა დამნაშავე ოც-და ოთხის საათის განმავლობაში შეიპყრეს. როდესაც ის საპყრობილეში მიჰყვანდათ მან გაქცევა მოახერხა: ელვის სისწრაფით მივარდა იგი პოლიციელს, რომლის თანხლებითაც საპყრობილეში მიდიოდა, გამოსტაცა ქარქაშიდან ხმალი, მოჰკლა და გაიქცა. ამის შემდეგ იმაზედ აღარაფერი არ ისმოდა გასულ კვირამდე.

ამ რამდენიმე წლის წინად, ერთი პოლიციის მოხელე ათვალიერებდა ფუკუოკას საპყრობილეს. მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა ტუსაღმა, რომელიც სამუშავო განყოფილებაში საქმობდა. მისი სახე ამ ოთხი წლის წინად ამოუშლელად ჩაისახა პოლიციის მოხელის მესხიერებაში. დაინახა ეს ტუსაღი თუ არა, მაშინათვე იკითხა მისი ვინაობა.

ქურდია—უპასუხეს—სახელად კუბაზე.

ჯაშუში მიუახლოვდა ტუსაღს და უთხრა:

— თქვენი სახელი კუბაზე, ნომურატეიხი არ არის? თქვენ მკვლელობას გაბრალებენ, რომელიც კუმამატოში მოახდინეთ?!

დამნაშავე ყველაფერში გამოტყდა.

სხვათა შორის მეც გავემგზავრე სადგურისკენ, რომ ტუსაღის ჩამოყვანას დავსწრებოდი. მე ვფიქრობდი, რომ აი ეხლა დავინახავ და გავიგებ ხალხის რისხვას, რადგან მოკლული პოლიციელი საზოგადოებას უყვარდა. ხალხში, უეჭველია, მისი ნათესავებიც იქნებოდნენ... კუმამოტოს მცხოვრებნი მაინც და მაინც არ იყვნენ თავდაჭერილნი.

როდესაც მატარებელი გაჩერდა, სადგურზედ მოხდა ის, რაც ჩვეულებრივად ხდებოდა: გაისმა ახლად ჩამოსულ მგზავრების ხმაურობა და ჟრიამული. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა შეპყრობილი ტუსაღი პოლიციელის თანხლებით. მას თავი ჩაეღუნა; ხელებში ბორკილი ჰქონდა გაყრილი. პოლიციელებმა ტუსაღი სადგურის კარებთან გააჩერეს; ხალხი ძალით წინ მიიწევდა, რომ კარგათ დაეთვალიერებინა ახლად ჩამოყვანილი ტუსაღი. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ეს სიჩუმე პოლიციის მოხელემ დაარღვია, რომელმაც მაღალის ხმით შეჰყვირა:

— „სუგიხარა სან, სუგიხარა ოკივი აქ არას“?

დაბალმა დედაკაცმა, რომელიც ჩემ გვერდით იდგა ზურგზედ აკიდებულის ბავშვით, რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა. ხალხმაც გზა მისცა. ის იყო მოკლულის მეუღლე. ბავშვი, რომელიც მას ზურგზე ეკიდა, მისი შვილი იყო. პოლიციის ბძანებით ხალხმა უკან დაიწია. ქვრივი ბავშვით გაფაციცებით შეჰყურებდა მკვლელს სახეში. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა.

ერთი პოლიციელთაგანი მიუბრუნდა ბავშვს და დაბალის ხმით უთხრა, მაგრამ ისე მკაფიოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მე შევძელ ყოველივე მისი სიტყვის გაგება: —„ბავშვო, აი ის კაცი, რომელმაც მამაშენი მოჰკლა! მაშინ ჯერ შენ გაჩენილი არ იყავი. შენ ისევ დედის მუცელში იმყოფებოდი. შენ ეხლა მოკლებული ხარ მამის ყოველივე ალერსს და ამაში აი, ეს კაცია დამნაშავე. შეჰხედე ამას—პოლიციელმა წაავლო ტუსაღს ნიკაპზედ ხელი და თავი მაღლა ააწევინა. შეჰხედე კარგათ, ნუ გეშინიან. ეს, მართალია, არ არის შენთვის სასიამოვნო, მაგრამ შენი მოვალეობაა. შეჰხედე ამ ტუსაღს“.

ბავშვმა შეჰხედა თუ არა ტუსაღს, მწარე ქვითინი ამოუშვა; თვალებიდგან ცრემლები გადმოსცვივდა. ტუსაღმა რა დაინახა მტირალი ბავშვი, დაეცა მუხლებზედ და შეჰყვირა:

— მაპატივე, ბავშვო, მაპატივე! ის, რაც მე ჩავიდინე, მოჰხდა მხოლოდ შიშით და არა შურის ძიებით. ეს იმიტომ ჩავიდინე, რომ თავი გადამერჩინა. მე დიდი, დიდი დამნაშავე ვარ შენ წინაშე, მაგრამ მე ეხლა გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს. მე სიკვდილით მსაჯავენ და მეკუთვნის კიდეც, რომ მოვკვდე. ოჰ, ბავშვო, შემიბრალე, მაპატიე!

ბავშვი განაგრძობდა ტირილს. პოლიციელმა ააყენა დამნაშავე, რომელიც ძირს ეგდო და მწარეთ ქვითინებდა. უეცრივ, მოულოდნელად ყველა იქ მყოფებმა ამოუშვეს ქვითინი. როდესაც მცველი მოგვიახლოვდა, მე დავინახე ის, რაც ჩემს დღეში არ მენახა, რაც მხოლოდ ზოგიერთებს უნახავთ, რასაც ვგონებ ჩემს დღეში ველარ ვნახამ. მე დავინახე იაპონელი პოლიციელი, რომელიც ამ სურათის ნახვას ისე აღელვებინა, რომ თავი ველარ შეეკავებინა და მწარედ ქვითინებდა.

ალ. ჯანყარაშვილი.

კულტურის ისტორია

—

ქართველთ ცოდვის აღსაგველად
გურიამ შვა სამი შვილი:
„მეცნიერი“ ჟორდანია,
წითლიძე და რამიშვილი.
ჩვენში უმეცარმა „ანმა“
სხვაგან მარქსებს მისცა ბანი;
არარატზე დაშვებამდე
გადუბრუნდა კიდობანი!
ბელადობდა ყოველ პირუტყვს:
ნოე იყო, „ნოე კაცი“;
ყოჩნი ზვირთებს გაატანა,
თვით ფარადან დარჩა—ვაცი.
მოსეობა მოინდომა,
რა კი იყო ენა-ბრგვილი;
არონად ვერ გამოადგენ
ჯიბლაძე და რამიშვილი.
მარკს-ენგელსის ნაუბარი
ვერც ერთს ვერ შეაგნებინა:
ისიდორემ პროლეტარებს
მთლად ღდინი გააგდებინა.
ხალხს მანანას პირდებოდენ
და ტყვილები მოუვლინეს;
„რძის და თაფლის“ მაგიერად,
სისხლის ღვარი აუდინეს!
ჯვრის „აღებას“ მოერიდენ
და არც ავლენ გოლგოთაზე;
ან რათ ავლენ, თუ არ ურჩევთ
წინ-მორბედი მახარაძე!
წინეთ თორმეტის კრებულში
ერთი თუ იყო იუდა;
დღეს აირივ-დაირივნენ,
მთლად შეიქნენ ბეზლის გუდა.
სპასალარად ვერ გამოდგნენ
ყარიბი-პეტრე, ბენია:
სოციალიზმის მაგიერ,
ქვეყანას მისცეს გენია.

ნაცნობი.

დაშრა წყარო

—

დიდ კლდისა ძირას გაჩნდა წყარო, წყარო ანკარა... იგი კარგა ხანს იყო შემოჯაჭვულ სალის კლდეებით... მაგრამ წვეთ-წვეთად იგი მედგრად კლდესა ედინებოდა, გახვრიტა ქვა და ნაკადულად მოსკდა, რაკი გზა მოიპოვა... თავის გარშემო ურდო ხალხი მან მოიგროვა... დიდის ხნის წყურვილს იქ იკლავდა; დიდი, პატარა; მოხუცი და ყრმა იქ იკლავდნენ თავიანთ სურვილს...

მაგრამ, ვაი, რომ...

მაშვრალთა შორის ბინძურ ხელით წყაროს სხვანიც შეეხენ, სუნი დაედვა წყალს ავის შმორის... და...

დაშრა წყარო!..

თომა პუსა.

მელა და ყურძენი

(არაკი)

შეძვრა მელია ვენახში, ნახა ხეზედ გასული ვაზი, თვალ-შესულის მტევნებითა და სთქვა:

„არა, მე მაღლარის მჭამელი არ გახლავარ. თუ ვენახია, აქ მაღლარს გარდა დაბლარიც იქნება სადმეო.“

მონახა სარზედ გაბმული ყურძენი და იმდენი ჭამა, ვიდრე კბილს მოიჭრიდა. რომ გაძღა, სთქვა მელამ არაკი:

„ტკბილი მაღლარის ცქერასა, სჯობს მწკლატე დაბლარით მოვიჭრა კბილიო“

რიშ ბაბა.

ახლანდელი რედაქტორები

—

— აფხანიკო, სით გარბიხარ?!

— აა, საბილიმეტრ, ველარც კი გიცანი!.. რ - ვა ამოჰძვერ აქანა... აკი პიატიგორსკაში წახველი ლაქიათ?!..

— იქინაე ქე, ზაბასტოვკა მოვუხდინე ხაზეინს და აქით გემოვიქეცი... დაჭერას მიპირობდნენ... შენ რავა გაჩნდი აქ. ხომ, ჩემო პოლიკარპე, საზაფხულოდ ლაქიად კისლავოდსკში წახველ.

— რავა, განა შენ ზაბასტოვკა მოახდინე და მე კა ვერ მოვახდენდი?!. მეც მოვახდინე... ხაზეინმა პალიციაში „მიშპიონა“ და მეც გამოვიქეცი...

— ეხლა რა ვქნათ, პოლიკარპე?..

— შენ არ ვიცი რას იქამ, და მე კი, აი, ღრუბელნატორთან არზა მიმაქვს...

— რა არზა, სიბილიმეტრ?!.

— რედაქტორობას ვთხოვ...

— იმე... იმე... რა აზრი მოგსვლია?!. რავა მე არ მომივიდა ეგ თავში?!

აფხანაკები გაშორდნენ ერთმანეთს. სიბილიმეტრს იმ დღეს დაუგვიანდა „ღრუბელნატართან“ თხოვნის მიტანა. პოლიკარპემ განშორების უმალ მონახა ერთი „აბლაკატი“ და თხოვნა დააწერინა ღრუბერნატორთან საოხუნჯო გაზეთის გამოცემის მიღების შესახებ.

მეორე დღეს ორივე მეგობარი გუბერნატორის კანცელარიაში შეჰხვდნენ ერთმანერთს. სიბილიმეტრს ძალიან გაუკვირდა პოლიკარპეს ნახვა ..

— აქანა რა გინდა?!

— ლედახტორობა...

— რავა, მეცილები?!.

— რავა გეკადრება მაგი!.. შენ ყოველ დღიურ სამეცნიერო და საპოლიტიკო სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს თხოულობ, მე კი ყოველ კვირეულ საოხუნჯო სოციალ-დემოკრატიულს...

— მაშ ეგრეე?!. აფხანაკო, დღეს ჩვენ ერთად ვიმუშავებთ და მედგრად შევებრძვით ქართველ ხალხის მოწინავე პირებს .. იმათ დაიჩემეს ყველაფერი და ჩვენ კი აღარაფერს გვანებებენ. ჩემი გაზეთი ყოველ დღე დაწიხლავს ქართველ ერს, იმის შოვინისტურ-ბურჟუა-ნაციონალისტობას და შენ კიდევ ყოველ კვირე.

— ჩემო სიბილიმეტრ, ძალიან დაიღლები ყოველ დღე ტლინკების ყრით!..

— რას მეუბნები ჩემო პოლიკარპ! რა ოხრად მინდებიან ჩვენი პარტიის ლიდერები, თუ საჭიროების დროს ტლინკებს არ გაისვრიან. შენ ოღონდ გაზეთი გოიჩინე და მწერლები ბუზებივით დაგესევიან!..

— ოჰ, ეგეც მართალია; ჩვენი ლიდერებისთვის რამდენჯერ ხაზეინის „ჩოტზე“ მიმირთმევია სადილები და ვახშმები. ერთხნობა იმ რესტორანში ხშირად დაბძანდებოდენ... ერთხელაც არ გამომირთმევია სადილ-ვახშმის ფული...

— და რა თქმა უნდა, ჩვენც მოგვეშველებიან...

ორი კვირის შემდეგ ორივე „აფხანიკს“ რედაქტორობა გამოუვიდათ...

მერე კი რა მოუვიდათ? ალახმა უწყის!

არაბი.

„ფაქტების დამახნიჯება“

როგორც მოსალოდნელი იყო, პატივცემულმა ნ. ჩხეიძემ ჩემს წინადადებაზე ხმა ამოიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ხმა ჭორიკანა სევდას გასამტყუვნებლად კი არ იყო მიმართული, არამედ მის გასამართებლად და ბანის მისაცემად...

სამწუხაროა ესა.

„ამირანის“ მეათე ნომერში მოთაესებული ნ. ჩხეიძეს წერილი, ჩემდამი საყვედურით მომართული, უფრო თავის მართლებას ჰგავს, ვიდრე ჩვენს გამტყუნებას. პატივცემულ მსახიობს მოუსურვებია ფაქტებით ლაპარაკი. მეც სწორედ ამ ფაქტებზე მინდა ვილაპარაკო, რადგან ხალხის თქმისა არ იყოს —„ეს ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადვილას აღრჩობსო“...

ნ. ჩხეიძე ბრძანებს: მე სრული თანხმობა გამოვუცხადე გამგეობას მის პირობებზეო.

ეგ სწორე არ არის. როცა ნ. ჩხეიძეს წინადადება მიეცა გამგეობისგან იგი უკვე ქუთაისში იყო პირობით შეკრული და არ მესმის, როგორ შეიძლება ერთსა და იმავე დროს თამაშობა ქუთაისში და ტფილისშიაც. სწორედ ეგ იყო მიზეზი, რომ გამგეობა იძულებული იყო ნ. ჩხეიძე თითო გამოსვლობით მოეწვია, ხოლო პატივცემულმა მსახიობმა 35 მ. მაგიერ **მოითხოვა** 40 მან. და გამგეობაც იძულებული იყო დასთანხმდებოდა.

ნ. ჩხეიძე ბრძანებს 110 მან. თვეში დიდი ფული არ არისო. სრულიად ვეთანხმებით, მაგრამ დაგვეთანხმოს ისიც რომ დიახაც მცირე სასყიდელია რვა, ცხრა და ათი თუმანიც, ოცდა ხუთი, ოცდა ათი წლის ნაყოფიერი და ქანც გაწყვეტი სამსახურის შემდეგ...

ამის გარდა ბ-ნო ნინო, ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ათი-თორმეტი თუმანი ორიოდ-სამი გამოსვლისათვის დიახაც ბევრია, მაშინ, როცა სხვები, არა თქვენზე ნაკლებ ნიჭიერნი და დამსახურებულნი, იღებენ რვა-ცხრა თუმანს და თვეში თამაშობენ ხუთ-ექვსჯერ. ესე იგი, როცა თქვენ თითო გამოსვლაში გეძლევათ 40 მ. და მეტიც. მაშინ ნ. გაბუნიას, ყერქეზიშვილს, ტასო აბაშიძეს, კარგარეთელს, ვ. აბაშიძეს, კ. ყიფიანს და სხვათა თითო გამოსვლაში 10—15 მან.

არ დაივიწყოთ, რომ გაბუნია, აბაშიძე და სხვები იმ დღიდან ემსახურებიან ქართულ სცენას, როცა თქვენ არცკი იყავით ქვეყნად მოვლენილი ქართული სცენის დასამშვენებლად,

აი, რას გვეუბნება ფაქტები და არა იმას, რასაც თქვენა ბრძანებთ!

ნ. ჩხეიძე ბრძანებს, რომ დრამატიულ როლების აღმსრულებელს უფრო მეტი ხარჯი აქვს ტანსაცმელზეო. არ გეთანხმებით. ტასო აბაშიძეს, კარგარეთელს, ლეჟავას და სხვებს, რომელნიც თვეში ხუთ-ექვსჯერ თამაშობენ თუ მე-

შეიარაღებულთა დარბევა.



ბრძოლა არსებობისათვის.

ტი არა, ნაკლები ხარჯი არა აქვთ ტანსაცმელებზე და იმათ თქვენის საზომით ერთი-ორად მეტი უნდა ეძლოდეთ სასყიდელი შრომისათვის, მაგრამ ნამდვილად კი ნაკლებს ღებულობენ.

ესეც არ იყოს, მაპატიეთ კია, და მე მაინც და მაინც ამ უკანასკნელ ოთხ-ხუთ წელიწადში საიმისო ძვირფასი ტანსაცმელი არ მირახავს თქვენზე. „მამულ დედულ“ ერთხელ ითამაშეთ. დანარჩენს როლებში თქვენც გვემოწმებით, რომ საიმისო ტანსაცმელი არა გცმიათ და ისტორიული ტანსაცმელები ხომ მუქთად გეძლევათ...

შემდეგ პატივცემული მსახიობი ბრძანებს, წელს სამჯერ მეტად არ მათამაშესო. მეტის მეტად უცნაური დასკვნაა, თუ თქვენც დაგვეთანხმებით... არ გათამაშეს იმიტომ, რომ თეატრი არ იყო, ეს თქვენც კარგათ უწყით. ხოლო შუა სეზონის შემდგეგ თვით თქვენ განაცხადეთ უარი თამაშობაზე. ამაში თუ ვისმე ბრალი დაედვის ისევ თქვენ...

რაც შეეხება იმას, რომ ვ. აბაშიძეს ბენეფისზე ორი დღის წინედ გადმოეცა რეჟისორმა როლიო და სხვა, ამაზე აი რას შოგახსენებთ. რავდენადაც მე მახსოვს ვ. აბაშიძეს და თვით რეჟისორსაც ძრიელ უნდოდათ რომ თქვენ გეთამაშნათ სვავა, მაგრამ ამ ხანებში თქვენ ქუთაისში ბძანდებოდით (ნუ დავიწყებთ იმას, რომ თვითონ აბაშიძეს ბენეფისისათვის თეატრი დაუთმეს ხუთის დღით აჯრე ბენეფისამდე) და აბაშიძე იძულებული იყო დავითაშვილისათვის მიემართა, რადგან საფუძვლიანათ იგულისხმა, რომ რა კი თქვენ თამაშობდით ქუთაისში, დავითაშვილი თავისუფალი იქნებოდა, მაგრამ საუბედუროდ ისიც თამაშობდა თურმე იმ დღეს ქუთაისში. ასე რომ თქვენი გულთ-მისნობა იმის შესახებ, რომ ორმა მსახიობმა უარი განაცხადაო ცოტა არ იყოს უადგილოა და არ საკადრისი პოლემიკური ქამანდი... როცა ერთმა თქვენმა ახლო ნაცნობმა პირმა შეგვატყობინა კანტორაში, რომ ჩხეიძე ამ ღამ ჩამოვაო, (მაშინ რეპეტიციაც არ გვქონდა ჯერ კიდევ დაწყობილი) რეჟისორმა მაშინვე როლი აფრინა თქვენთან... ასე გახლდათ საქმის გარემოება. თქვენ კი ბრძანებთ, როლი ორის ღღით წინ გამომიგზანესო, ორ დღეში როლის მომზადებას არ ვიკისრებდიო. არა მგონია, რომ რეჟისორს ასეთი უსამართლობა ჩაედინა და არც როდისმე ჩაიდენდა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ თქვენ სვავას როლი მომზადებული გქონდათ, რადგან სწორედ წინა სეზონებში ჩვენ ამ პიესას ვამზადებდით და თქვენც სხვებთან ერთად რეპეტიციებზე მუყაითად ამზადებდით ამ პიესას, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ რეჟისორმა როლი ორის კი არა, სამის ღღით წინად გამოგიგზავნათ. თქვენც დამეთანხმებით, რომ თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტი სრულებით არა ჰგავს ამ ფაქტს და ადვილი წარმოსადგენია ყველასათვის, ვინ ამახინჯებს ფაქტს!..

დასასრულ, თქვენა ბძანებთ, ბენეფისზე უარი განვაცხადეო, რადგან არ მიმუშაკნია და ბენეფისის ღირსია მხოლოდ ის ვინ, სეზონის დროს მუშაობდაო. კეთილი და პატიოსანი. სწორედ რომ დიდებული პრინციპია, მაგრამ მაგრიც ის არის, ქართული ანდაზის არ იყოს: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ საქმე ის არის, რომ შარშანდელ სეზონში, როცა მსახობთა ამხანაგობა აწარმოებდა სეზონს და რომელშიაც თქვენ არ ინებეთ შემოსვლა, თქვენ წრევანდელსავით თითო გამოსვლობით თამაშობდით. ჩვენ გავმართეთ სულ 38 წარმოდგენა. ეგოდენ წარმოდგენებში თქვენ მხოლოდ 4 ჯერ ითამაშეთ ე. ი., თქვენი სიტყვით რომ ვსთქვათ, სრულებით არ „ბიმუშავნიათ“, მაგრამ მიუხედავად ამისა **მოითხოვეთ** ბენეფისი და კიდეც დაიდგით წარსული წლის 20 თებერვალს... განმარტება ამ ფაქტებისა თქვენთვის მოგვინდვია.

არა, ბატონო, თქვენ მიერ არჩეული გზა და ფონი სახიფათოა ღა უვარგისიც!..

ახალგაზდა მსახიობი.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკია სახლი № 1.